# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 197

„22" ივლისი 2016 წ

ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „რეალ ესტეიტ დეველოპმენტს" შორის 2006 წლის 30 ივნისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მერიასა და შპს „ბას სტოპს" შორის 2009 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების (სანოტარო მოქ. რეგ. N090911924) მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს დარჩენილი დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან შპს „ბას სტოპის" გათავისუფლებაზე თანხმობის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლების გადაცემის წესის" მე-14 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „რეალ ესტეიტ დეველოპმენტს" შორის 2006 წლის 30 ივნისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მერიასა და შპს „ბას სტოპს" შორის 2009 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების (სანოტარო მოქ. რეგ. 090911924) მე-3 პუნქტით განსაზღვრული საურავის - 57 847.54 ლარის თანხიდან დარჩენილი დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან შპს „ბას სტოპის" გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი